თბილისის წიგნის 28-ე საერთაშორისო ფესტივალი

პრესრელიზი *20.05.2026*

2026 წლის 29-31 მაისს, თბილისი ერთ-ერთ მასშტაბურ ლიტერატურულ ღონისძიებას თბილისის წიგნის 28-ე საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს. ფესტივალი ტრადიციულად გააერთიანებს ქართველ და უცხოელ ავტორებს, გამომცემლებს, მთარგმნელებს, პედაგოგებს, ბავშვებს, მოზარდებს, სტუდენტებს, მეწარმეებსა და წიგნის მოყვარულებს, მრავალფეროვანი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

ფესტივალის ოფიციალური გახსნა 29 მაისს, 11:00 საათზე გაიმართება საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით. სამი დღის განმავლობაში სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ წიგნების პრეზენტაციებს, ავტორებთან შეხვედრებს, პანელურ დისკუსიებს, ლიტერატურულ წარმოდგენებს, საგანმანათლებლო ვორქშოფებსა და საბავშვო აქტივობებს.

წლევანდელ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს ოცზე მეტი გამომცემლობა და წიგნის გამავრცელებელი. ფესტივალი სხვადასხვა სივრცეში გააერთიანებს თანამედროვე ქართულ და უცხოურ ლიტერატურას, საგანმანათლებლო ინიციატივებს, შემოქმედებით, გასართობ პროგრამებს.

ფესტივალის პროგრამას მთავარი სცენიდან ახალგაზრდა წამყვანები წარუძღვებიან, რაც ღონისძიებას განსაკუთრებულ დინამიკასა და საზეიმო განწყობას შესძენს. მთავარი სცენა უმასპინძლებს როგორც თანამედროვე ქართული და მსოფლიო ლიტერატურის პრეზენტაციებს, ისე მნიშვნელოვან დისკუსიებს განათლების, ენის, კულტურისა და საზოგადოების აქტუალურ საკითხებზე. წლევანდელი პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თანამედროვე ლიტერატურას, ქართული ენის ციფრულ მომავალს, განათლების თანამედროვე მიდგომებსა და ახალგაზრდა თაობის მკითხველად ჩამოყალიბების მნიშვნელობას. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება პანეური დისკუსიები თემებზე: „როგორ ვზრდით მკითხველ თაობას ციფრულ ეპოქაში“, „ქართული ენის ციფრული მომავალი“, „ფრანკოფონიის ხმა ფესტივალზე“ და სხვა მნიშვნელოვანი შეხვედრები ქართველი და უცხოელი მონაწილეების ჩართულობით.

ფესტივალის განსაკუთრებული მიმართულებაა „ფრანკოფონიის ხმა“, რომელიც ფრანგულენოვანი ლიტერატურის მოყვარულებისთვის საინტერესო და მრავალფეროვან პროგრამას წარმოადგენს. ფესტივალს ეწვევიან ბელგიელი ავტორები, რომლებიც მკითხველს თანამედროვე ფრანკოფონიულ ლიტერატურას გააცნობენ. გაიმართება შეხვედრები ავტორებთან, დისკუსიები თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე და ფრანგულენოვანი მასტერკლასები, რაც ფესტივალს საერთაშორისო კულტურულ მნიშვნელობას კიდევ უფრო შესძენს.

ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება როგორც ქართული, ისე მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი გამოცემები. სტუმრები გაეცნობიან ნიკოლო მაკიაველის, ჯორჯ ორუელის, ემილი დიკენსონის, კრისტიან კრახტისა და სხვა ავტორთა ახალ ქართულ თარგმანებს, ასევე თანამედროვე ქართველი ავტორების უახლეს წიგნებს. ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი პროგრამებია.

საბავშვო სივრცეში ყოველდღიურად გაიმართება ზღაპრების საათი, ლიტერატურული ქვიზები, ორიგამის, ხატვის, სამეცნიერო-შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობები. პატარებს სპეციალურად მოწყობილ სივრცეში დახვდებათ გასართობი ზონა, სხვადასხვა მომცრო ატრაქციონი, სათამაშო და გასართობი აქტივობები, რაც ფესტივალს ოჯახებისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველ ადგილად აქცევს.

განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა მოსწავლეებისთვის დაგეგმილ კონკურსებსა და შემეცნებით პროექტებს. ფესტივალის ფარგლებში გაიმართება კონკურსების დაჯილდოება: „ქართული ენის ციფრული ელჩები“, „გაგვაცანი მოსწავლე“, „გაგვაცანი მასწავლებელი“, ვიდეოკონკურსი - „გააცოცხლე პერსონაჟი“, ასევე ფოტოკონკურსი „წიგნი კადრს მიღმა“, ლიტერატურული და ხატვის კონკურსების გამარჯვებულთა დაჯილდოებები.

ვორქშოფის სივრცე ფესტივალის კიდევ ერთი გამორჩეული ნაწილია, სადაც ჩატარდება წიგნის რესტავრაციის, ქართული კალიგრაფიის, ილუსტრაციის, 3D ტექნოლოგიების, დეკუპაჟის, პერსონაჟის შექმნისა და სხვა მრავალფეროვანი მასტერკლასები. პროგრამა გათვლილია როგორც ბავშვებზე, ისე მოზარდებსა და უფროსი ასაკის დამთვალიერებლებზე. ფესტივალის ფარგლებში განსაკუთრებული პროგრამაა მომზადებული მასწავლებლებისთვის, ბაღის აღმზრდელებისა და მეთოდისტებისთვის.

„მასწავლებლის სივრცე“ უმასპინძლებს პროფესიული განვითარების ვებინარებს, პრაქტიკულ სესიებსა და საგანმანათლებლო შეხვედრებს, თანამედროვე სასწავლო მეთოდები, კლასის მართვის სტრატეგიები, სკოლამდელი და ადრეული განათლების რესურსები, ფინური განათლების პრაქტიკა, მასწავლებლის ლაბორატორია და სხვა აქტუალური თემები. მასწავლებლები მიიღებენ სერტიფიკატებს.
ფესტივალის სტუმრებს სპეციალურად მოწყობილი ფოტოსივრცეც დახვდებათ, სადაც შესაძლებელი იქნება სამახსოვრო ფოტოების გადაღება. სივრცეში განთავსდება თემატური ინსტალაციები, მათ შორის: ფოტოქოლგა, აინშტაინისა და „ჭიამაიას“ სახალისო გამოსახულებები, სარკის ინსტალაცია და სხვა დეკორატიული ფოტო-კუთხეები.
ფესტივალის ერთ-ერთი გამორჩეული აქტივობა იქნება „აღიარებების კედელი“ - დიდი ინტერაქციული სივრცე წარწერით: „წერილი მათ“, სადაც სტუმრებს

შესაძლებლობა ექნებათ ანონიმურად დატოვონ საკუთარი ფიქრები, ემოციები და გულწრფელი აღიარებები.

ფესტივალის განმავლობაში იმუშავებს მრავალფეროვანი კვების სივრცეც, სადაც წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა კვების ობიექტი და სტუმრებს სასიამოვნო გარემოში დასვენებისა და გართობის შესაძლებლობა ექნებათ. ღონისძიების ორგანიზებაში აქტიურად იქნებიან ჩართული მოხალისეები, რომლებიც სტუმრებს სხვადასხვა სივრცეში დახმარებას გაუწევენ და ფესტივალის კომფორტულ გარემოს შექმნიან.
თბილისის წიგნის 28-ე საერთაშორისო ფესტივალი კიდევ ერთხელ იქცევა სივრცედ, სადაც ლიტერატურა, განათლება, კულტურა და თანამედროვე იდეები ერთიანდება, ხოლო წიგნი სხვადასხვა თაობის ადამიანებს საერთო გამოცდილებისა და ახალი შესაძლებლობების გარშემო აერთიანებს. დასწრება თავისუფალია.

ფესტივალის ორგანიზატორია საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია. ფესტივალი ტარდება საქართველოს კულტურის სამინისტროს, შემოქმედებითი საქართველოს, თბილისის მერიისა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით.